გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 127

2025 წლის 10 ოქტომბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის ბორის გოგიჩაიშვილისთვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ

როგორც მასმედიის საშუალებებით და სოციალური ქსელით გახდა ცნობილი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ბორის გოგიჩაიშვილს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობა, რაც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, წარმოადგენს საკრებულოს წევრისთვის უფლებამოსილების შეჩერების საფუძველს. ამასთან, საკრებულოს წევრს ბორის გოგიჩაიშვილს „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილება უჩერდება გადაწყვეტილების მიღების დღიდან - 2025 წლის 19 სექტემბრიდან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, ასევე „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის პუნქტის შესაბამისად,

1. შეუჩერდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ბორის გოგიჩაიშვილს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება 2025 წლის 19 სექტემბრიდან აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის მოქმედების ვადით.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

სხდომის თავმჯდომარე დავით რაზმაძე